]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 930
21/05/2020

930-01-4-202005211616

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-36 მუხლების, 1261 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ღია კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - 1 (ერთი) ერთეული;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე - 1 (ერთი) ერთეული;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პროგრამებით გათვალისწინებული სამუშაოების ინსპექტირების განყოფილების ხელმძღვანელი - 1 (ერთი) ერთეული;

ვ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 /ერთი/ ერთეული;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 5 /ხუთი/ კალენდარული დღე.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი